პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი

№ 210 (11214) | ხუთშაბათი, 11 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმი გაიმარჯვებს! — „პრავდის“ 10/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XXI ყრილობას (1-ლი გვერდი).

დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ვ. ცირეკიძე. — შესრულების შემოწმება წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა (მე-2 გვერდი).

ავამაღლოთ ჩაის კრეფის ტემპი, პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულება (მე-2 გვერდი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

უზრუნველვყოთ [illegible] ბოლანეულიდან მაღალხარისხოვანი [illegible] (მე-3 გვერდი).

საუბარი სოციალისტური შრომის გმირებზე. — ლ. ლოლაძე. — ბაგრატ მელქაძე (მე-3 გვერდი).

ს. არღუნელი. — ბულგარეთის გზებზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმი გაიმარჯვებს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ ერთსულოვნად მოიწონა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხმა, საბჭოთა საზოგადოების ყველა მშრომელმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ.

თვით ის ფაქტი, რომ მოწვეულია პარტიის რიგგარეშე ყრილობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების განსახილველად, დამაჯერებლად მოწმობს სოციალისტური ეკონომიკის მძლავრ ძლევამოსილ ხვლას, იმას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას წარმატებით ახორციელებს ჩვენი ხალხი, რომელსაც ლენინური პარტია ხელმძღვანელობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია „მთელი სიმტკიცით გაგრძელდეს ბრძოლა მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით ისტორიულად უმოკლეს ვადაში საბჭოთა კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის, რომელიც იმით გამოიხატება, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებზე დაყრდნობით დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ“.

XX ყრილობის შემდეგ გასულ პირველ ორ წელიწადში მრეწველობის მთელი პროდუქციის გამოშვება სსრ კავშირში 22 პროცენტით გადიდდა. გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა და რვა თვის დავალება. საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს არა მარტო მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური მატების ტემპით, არამედ აგრეთვე რკინის მადნის, ქვანახშირის, ნავთობის ამოღების, თუჯის, ფოლადის, ცემენტის, შალის ქსოვილების გამოშვების მატების აბსოლუტური ოდენობით. სსრ კავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრო აგრეთვე ელექტროენერგიის გამომუშავების, გაზის მოპოვების, ფეხსაცმლის გამოშვების ყოველწლიური მატების ტემპით, თუმცა ამ სახეობათა პროდუქციის მატების აბსოლუტური ოდენობით ჯერ კიდევ ჩამორჩება ამერიკის შეერთებულ შტატებს და მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნებული მასალები ციფრებისა და ფაქტების დამაჯერებელი ენით მოწმობენ, რომ კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის სოციალისტურ სახალხო მეურნეობას გადამწყვეტი უპირატესობა აქვს — განვითარების განუზომლად უფრო მაღალი ტემპი. თუ 1957 წელს სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 33-ჯერ გადიდდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი ამ ხანში მხოლოდ 4,1-ჯერ გადიდდა. ინგლისში — 1,8-ჯერ, საფრანგეთში — 2-ჯერ. კიდევ უფრო დიდია ჩვენი უპირატესობა ეკონომიკის ისეთი გადამწყვეტი დარგების განვითარების ტემპში, როგორიც არის მანქანათმშენებლობა და ენერგეტიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ კომუნისტური პარტიის გეგმები უახლოესი მომავლისათვის ითვალისწინებენ ინდუსტრიის გადამწყვეტი დარგების ზრდას დაახლოებით ორ-სამჯერ, სოფლის მეურნეობის შემდგომ მკვეთრ აღმავლობას, რაც შესაძლებელს გახდის, რომ მომავალ 15 წელიწადში მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, მივაღწიოთ საბჭოთა ადამიანების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას. ამასთან ამხ. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის წინასწარ მონახაზებში შეიძლება ცხოვრებამ კორექტივები შეიტანოს და უმალ ეს კორექტივები შეტანილ იქნება მათი განხორციელების ვადების შემცირების მხრივ.

ამ მსოფლიო ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის უდიდესი და გადამწყვეტი ეტაპი იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმა, რომლის საკონტროლო ციფრებსაც განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა. საწარმოთა კოლექტივების აქტიური მონაწილეობით შემუშავებული ამ გეგმის საჭიროება ნაკარნახევია თვითონ ცხოვრებით, ჩვენი სახალხო მეურნეობის მომწიფებული მოთხოვნილებებით.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ ახალი გიგანტური შესაძლებლობანი შექმნა იმისათვის, რომ კიდევ უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი რესურსები, უზრუნველვყოთ წარმოების უფრო სწორი განლაგება, მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგების ათვისება და განვითარება, მთელი ეკონომიური რაიონების კომპლექსური განვითარება. უკანასკნელ წლებში ჩვენმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს სხვადასხვა სახეობათა ნედლეულის ახალი დიდი საბადოები და ენერგიის წყაროები, რომელთა ბაზაზე შესაძლებელია შეიქმნას ახალი საწარმოები და სამრეწველო ცენტრები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული დირექტივებით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და იაფი ქვანახშირის უდიდესი საბადოების აღმოჩენა შესაძლებლობას გვაძლევს ძირეულად შევცვალოთ ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსის სტრუქტურა. ყველაზე ეკონომიურ სახეობათა სათბობის სასარგებლოდ, დავაჩქაროთ მძლავრი თბოელექტროსადგურების მშენებლობა და ამით მოვიგოთ კიდევ უფრო მეტი დრო ჩვენს ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან.

ყოველივე ამან საარსებო მოთხოვნილებად აქცია შვიდწლიანი გეგმის შემუშავება. რომელშიც უფრო დიდი მასშტაბით იქნება გათვალისწინებული აღმოსავლეთის რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ქვანახშირისა და განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის მრეწველობის სწრაფი განვითარება, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ძლიერი ტემპი, მშენებლობის ვადების შემცირება და ყოველი ღონისძიებით გაიფება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა შესაბამისად გეგმაში გათვალისწინებული იქნება, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაფართოება, აგრეთვე სახალხო მოხმარების სხვა საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის, მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ათვისებისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვის ბაზაზე.

პარტია და ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას ეგებებიან მჭიდრო და განუყრელი ერთიანობით დარაზმულნი მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ქვეშ. სსრ კავშირის ყველა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს სოციალისტური ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობის დიდებული გეგმები, რომლებსაც ადგენენ პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი. ამ გზაზე გადადგმული თვითეული ნაბიჯი გვაახლოებს კაცობრიობის ნათელ მომავალთან — კომუნიზმთან.

„პრავდის“ 10/IX მოწინავე.

კრივოი-როგის კომკავშირული ბრძმედის პირველი თუჯი

კრივოი-როგი. (საკდესი). 7 სექტემბერს 11 საათსა და 50 წუთზე თუჯი გამოუშვა საბჭოთა კავშირისა და ევროპის უდიდესმა კრივოი-როგის კომკავშირულმა № 4 ბრძმედმა, რომელიც აქ ამუშავდა. პირველი გამოდნობის პატივი წილად ხვდა ოსტატ იური შჩერილის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ცვლას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, რომ სამშაბათს, 16 სექტემბერს, მოწვეულია **თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეექვსე მოწვევის საქალაქო საბჭოს მერვე სესია.**

სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 1 საათი დან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XXI ყრილობას

★

საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ყველა ბრიგადაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

აწევითს საამქროში აგიტატორმა ბ. ტურაშვილმა მსმენელებთან საუბარში თქვა:

— ის ფაქტი, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყრილობაზე განსახილველად გამოაქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

—პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით, — ამბობს მოწინავე ზეინკალი ვ. ნიკოლაიშვილი, — ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 250-300 პროცენტით შევასრულო, ხოლო ჩვენი საამქროს კოლექტივის ვალდებულებაა ყრილობის იუბილეს ღირსეულ დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას სამი ორთქლმავალი.

დაუცხრომელი ზრუნვა სამშობლოს აყვავებისათვის

ფიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივის კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. აბრამიშვილმა თქვა:

—საბჭოთა ხალხი ამაყობს იმ დიდი მიღწევებით, რომლებსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია. პარტიას თავის რიგგარეშე XXI ყრილობაზე განსახილველად გამოაქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს საბჭოთა სამშობლოს შემდგომ მძლავრ აყვავებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას. პარტიის XXI ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ვკისრულობ წლიური გეგმა 200 პროცენტით შეგასრულო.

მაღაროს კოლექტივმა პირობა დადო წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს ასეულ ათასობით ტონა მარგანეცი.

სურათზე: ქუთაისის მანქანათსამშენებლო ქარხნის საამწყობო-მექანიკური საამქროს აგიტატორი შ. ხვანიძე მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

ფოტო ე. ციციაშვილისა და ლ. ხერხეულიძისა.

ახალქალაქელ მეცხოველეთა ვალდებულებანი

ახალქალაქი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ ახალქალაქის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს გააცნო პარტბიუროს მდივანმა ვ. თეთვაძემ.

— პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევა, — განაცხადა მეურნეობის დირექტორმა ს. მასხარაშვილმა,— უდიდესი მოვლენაა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ ჩვენი კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა.

სიტყვას იღებს მეძროხეობის ფერმის მოწინავე მწველავი ნ. მაისურაძე.

— ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად, — ამბობს იგი, — ვალდებულებას ვკისრულობ წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღო 2.100 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამისა.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მოწინავე მწველავებმა მ. გოხაძემ, მ. ტიტოიანმა, № 2 აგროუბნის მმართველმა ქ. კოკორიძემ, კომკავშირელმა მემინდვრეებმა კ. გოხაძემ, ნ. ბერიძემ და სხვებმა.

ახალქალაქელ მეცხოველეთა პირობაა ყრილობის გახსნას ახალი საწარმოო გამარჯვებებით უპატაკონ — წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღონ 2 ათასი კილოგრამი რძე, თვითეულ ცხვარზე — 4 კილოგრამი მატყლი, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ ასობით ცენტნერი რძე, ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

გულდასმით გაეცნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სოფლების კოთელიისა და ბარალეთის კოლმეურნეობათა წევრებმა.

ჰარჯიის ხელმძღვანელობით

მე, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, ცხადად ვხედავ კომუნისტური პარტიის მძლავრ მაჯისცემას, მის შორსმჭვრეტელობასა და სიბრძნეს. პარტიის ყოველი გადაწყვეტილება და ღონისძიება მიმართულია ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარებისაკენ.

ამიტომ გასაგებია, თუ რატომ ასეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი ადამიანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

ცნობა პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ უშუალოდ პლანტაციაში მუშაობის დროს შევიტყე და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ უსაზღვროდ გამეხარდა.

გადავწყვიტე დავდგე ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ჩემთვის მოსაელელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ პლანტაციაში წლიური გეგმით გათვალისწინებული 4 ათასი კილოგრამის ნაცვლად მოვკრიფო 6.350 კილოგრამი ნედლეული.

ნ. ჭანიძე,

ბათუმის რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

გეგმების შესრულება

წყალტუბოს რაიონმა 8 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 1.176,6 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.175 ცენტნერისა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

* * *

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაიონის მეაბრეშუმეებმა, რომლებიც ჩაბმული არიან წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, 102,4 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. გათვალისწინებული 53.700 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 55.000 კილოგრამი მაღალი ხარისხის პარკი.

აბრეშუმის უხვი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი რუისპირის, აკურის, სანიორის, იყალთოს, კურდღელაურისა და კონდოლის მეაბრეშუმეებმა.

ვალდებულებით რაიონში კიდევ დაამზადებენ 4.000 კილოგრამ აბრეშუმის პარკს.

შაქრის ჭარხლის აღება

ქარელი. (საკ. კორ.). 10 სექტემბერს საქართველოს შაქრის კომბინატთან არსებულ მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება. ჭარხლის აღებას დილით ადრე შეუდგა 150-მდე მუშა. აღება, გასუფთავება, დახარისხება და გადაზიდვა გეგმაზომიერად მიმდინარეობს. დღის ორი საათისათვის კომბინატის მიმღებ პუნქტს მიღებული ჰქონდა 500 ცენტნერი კონდიციური ჭარხალი.

კომბინატთან არსებულ მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობას შაქრის ჭარხალი 400 ჰექტარზე უთესია. კარგი კლიმატური პირობებისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების შედეგად ჭარხალი კარგად არის განვითარებული და უხვ მოსავალს იღებენ.

შაქრის ჭარხლის აღება მასობრივად გაჩაღდება 15 სექტემბრიდან. ამავე რიცხვიდან კომბინატი შეუდგება ახალი მოსავლის ჭარხლის გადამუშავებას.

დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად

★

უსაამქროო მუშაობაზე გადავიდნენ

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის საწარმოებს შორის უსაამქროო მუშაობაზე პირველი გადავიდა ბათუმის ფანერის ქარხანა. ეს სიახლე უკვე იძლევა პირველ დადებითს შედეგებს — უფრო ოპერატიული, გეგმაზომიერი გახდა ცალკეული საწარმოო უბნების მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საერთო აღმავლობას.

ქარხანამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა აგვისტოს და განვლილი 8 თვის გეგმა. დიდი რაოდენობით არის გამოშვებული დაწებებული ფანერა. ამ სახის პროდუქციის გამოშვების დავალება განაღდებულია 116 პროცენტით.

ქარხანაში მთელი რიგი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები განხორციელდა ავეჯის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ათვისებულია რამდენიმე ახალი სახის პროდუქცია. ავეჯის წარმოების 8 თვის გეგმა განაღდებულია 107,5 პროცენტით.

ახლა ბათუმელი მეფანერეები, რომლებიც საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგანან, დიდი მონდომებით შრომობენ, რათა სასახელო მაჩვენებლებით აღნიშნონ ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავი.

მოწინავეთა რიგებში

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, რომელიც წარმატებით ეჯიბრება ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივს, სულ უფრო აუმჯობესებს მუშაობას.

ქარხნის კოლექტივმა გადამეტებით გაანაღდა მიმდინარე წლის რვა თვის დავალება, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 101,9 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციისა — 102,5 პროცენტით.

განსაკუთრებული წარმატებებით აღინიშნა აგვისტო, როცა ქარხნის ყველა საამქრო, უბანი და ბრიგადა, ყველა ავტომობილმშენებელი ჩაება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. აგვისტოში ავტომობილმშენებლებმა სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცეს ათობით ავტომობილი და 400 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები, ხოლო ძრავების გამოშვების დავალება 120 პროცენტით გაანაღდეს. მარტო ერთ თვეში ქარხანამ რამდენიმე ასეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ასობით ავტომობილმშენებელი დაწინაურდა. ბევრი მათგანი, როგორც, მაგალითად, № 1 სამსხმელო საამქროს მეფოლადე ზ. აბზიანიძე, № 2 სამსხმელო საამქროს მეღუმელე გ. ხვადაგიანი, ამავე საამქროს მეყალიბე ო. კილაძე, სამჭედლო საამქროს თერმისტი ნ. ივანცოვი, საიარაღო-სატეიფრო საამქროს ზეინკალი ბ. კეთილაძე და სხვები ახლა 1959-1961 წლების ანგარიშში მუშაობენ.

შეჯიბრებაში კარგ წარმატებას აღწევენ შასის საამქროს მუშები ხარატი შ. კირთაძე და მბურღავი ვ. გოგელიძე, რომლებიც დავალებას 400 პროცენტით ანაღდებენ.

ცვლაში ორ-ორნახევარ ნორმას იძლევიან ძრავის საამქროს მხეხავი ნ. დარსაველიძე, ამავე საამქროს მღარავი მ. მამარდაშვილი, № 2 სამსხმელო საამქროს მეყალიბე გ. გიორგაძე და მეღუმელე ვ. ხაჩიძე.

ქუთაისელი ავტომობილმშენებლები ისწრაფვიან კიდევ უფრო გაამრავლონ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებები, სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავს.

შ. ჯავახაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეტი ლუდი მშრომელებს

თბილისის № 1 ლუდის ქარხნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ეგებება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს. ქარხნის მუშები, სპეციალისტები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეტი და მაღალხარისხოვანი ლუდის გამოშვებისათვის. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია ქარხანამ მიმდინარე წლის 8 თვეში, სახელმწიფო დავალება 112,5 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით ორი მილიონ 640 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.



სურათზე: ჩამომსხმელი საამქროს მოწინავე მუშა ო. ვაჭარაძე, რომელიც ყოველთვიურ დავალებას 125-130 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიულ ცხოვრება

შესრულების შემოწმება წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა

მიღებულ დადგენილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპია. შესრულების სწორად და ორგანიზებულად მოწყობილი შემოწმება პარტიულ და სამეურნეო მუშაკებში აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას, ხელს უწყობს კომუნისტებისადმი მომთხოვნელობის ზრდას, განამტკიცებს დისციპლინას, ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და აღმოფხვრაში.

მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება კარგად არის დაყენებული ტყიბულის რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში. მაგალითად, შარშან პარტიის რაიკომმა დაავალა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებს, რომ ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება ორჯონიკიძის სახელობის შახტის მუშაობის საკითხი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შახტმა შეამცირა ქვანახშირის ამოღება, გააუარესა ხარისხი, გააძვირა პროდუქციის თვითღირებულება. შახტის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები ობიექტური მიზეზებით ხსნიდნენ ჩამორჩენას.

შახტის ჩამორჩენის მიზეზების შესწავლისათვის პარტიის რაიკომმა ადგილზე მიაელინა პარტიული მუშაკებისა და სამთო სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია. ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იყო შახტის პარტბიუროსა და საუბნო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დაბალი დონე. ისინი ჯეროვნად არ ახორციელებდნენ კონტროლს ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი, ვერ რაზმავდნენ მეშახტეებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. შახტში სუსტად იყო დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, დაბალ დონეზე იდგა შრომის დისციპლინა. გამოირკვა ისიც, რომ პირველ, მესამე და მეხუთე საექსპლოატაციო ველებში უხეშად ირღვეოდა სამთო სამუშაოთა წარმოების დადგენილი წესები.

გამომყღავნებულ ნაკლოვანებათა ირგვლივ იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. პარტიის რაიკომმა დაავალა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებს, რომ ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება ორჯონიკიძის სახელობის შახტში აეყვანათ ათას ტონამდე. დადგენილების მიღებისთანავე შახტის კომუნისტებმა გაიჩაღეს ფართო ორგანიზატორული მუშაობა. შახტის პარტიულ ორგანიზაციაში გაიგზავნენ რაიკომის წარმომადგენლები. შახტში გაძლიერდა საგიტაციო მუშაობა. უბნებსა და ცვლებში მოეწყო საწარმოო თათბირები. ამ თათბირებზე, დამაჯერებლად განუმარტეს მშრომელებს რაიკომის ბიუროს დადგენილების მნიშვნელობა. სანგრევებში მუშაობის გადამწყვეტ უბნებზე გაიგზავნენ კომუნისტები. ყველა უბანი და ცვლა კვალიფიციური მუშახელით დაკომპლექტდა.

მაგრამ, როგორც პარტიის რაიონულ კომიტეტში შემოსული სიგნალებიდან გამოირკვა, ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელები ბიუროს დადგენილების ზოგიერთ მუხლს არ ასრულებდნენ, კერძოდ, არ იღებდნენ ზომებს სამთო ველების დამუშავების რაციონალური სისტემების შესამუშავებლად, თავს არ აწუხებდნენ ზოგიერთი სამუშაოს მექანიზაციისათვის. რაიკომის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. ახლადმიღებულ დადგენილებაში განსაკუთრებით გამახვილებულ იქნა ყურადღება წინა დადგენილების იმ პუნქტებზე, რომელთა შესრულება ფერხდებოდა.

პარტიული მუშაობის ასეთმა მეთოდმა კარგი ნაყოფი გამოიღო. მოკლე ხანში მკვეთრად ამაღლდა საშახტო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონე, გაძლიერდა ხელმძღვანელობა და კონტროლი სამეურნეო საქმიანობისადმი. შახტმა თავი დააღწია ჩამორჩენას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ამჟამად ამ შახტს მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 10 ეშელონი ქვანახშირი აქვს ამოღებული. გაწეულია 740.000 მანეთის ეკონომია.

მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება კარგად არის დაყენებული გელათის შახტის პარტიულ ორგანიზაციაშიც (მდივანი ბ. გოგოლაშვილი). პარტბიურო მიღებულ გადაწყვეტილებებს ფართოდ აცნობს თვითეულ კომუნისტს. გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის აწყობს ფართო პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თვითდინებას ანდობენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, არ სწავლობენ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შეუსრულებლობის მიზეზებს. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ერთსა და იმავე საკითხს დროის მოკლე პერიოდში რამდენჯერმე განიხილავს, იღებს დადგენილებას, სახავს ღონისძიებას, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის, მდგომარეობა არ უმჯობესდება.

ლენინის სახელობის შახტის სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა უბანი დიდი ხანია ჩამორჩება. უბნის კოლექტივი ვერ ასრულებს ახალი ამოსაღები ველების მომზადების დავალებას. უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ამ უბნის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ე. რიყამაძე) კრებაზე კომუნისტებმა რამდენჯერმე იმსჯელეს ჩამორჩენის მიზეზებზე, მიიღეს სათანადო დადგენილებებიც, მაგრამ მათი განხორციელებისათვის აღარ იზრუნეს. ამიტომ უბანში ბევრი არაფერი შეცვლილა, მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

რკინიგზის ტყიბულის სადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ო. დევდარიანი) კრებამ მიმდინარე წლის იანვარში მოისმინა კედლის გაზეთის რედაქტორის ანგარიში რედკოლეგიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც გამოირკვა, სარედაქციო კოლეგიას თავის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. კრებამ მიიღო დადგენილება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და თავისი საქმიანობა ამით ამოწურა. იმის გამო, რომ შემდეგ არ იზრუნეს მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის, სარედაქციო კოლეგია კვლავ ძველებურად, ცუდად მუშაობს. 25 მაისს პარტიულმა კრებამ კვლავ მოისმინა კედლის გაზეთის რედაქტორის ანგარიში. თუმცა ამის შემდეგაც დიდი დრო გავიდა. მაგრამ აქ არც ამ დადგენილების შესრულების შემოწმება მოაწყეს.

ასევე უყურადღებობას იჩენენ დადგენილებების შესრულების შემოწმებისადმი ამავე სადგურის ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტის პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი გ. სინატაშვილი), შაორჰესის მშენებლობის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

შესრულების შემოწმება სწორი პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. მიღებული დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი ხელს შეუწყობს პარტიული მუშაობის დონის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ეს კარგად უნდა გითვალისწინონ ყველგან, სადაც მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისათვის სისტემატური ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ასპინძის რაიონში

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

წლითიწლობით მშვენდება რაიონული ცენტრი ასპინძა. სამი-ოთხი წლის მანძილზე აქ ბევრი რამ ახალი გაკეთდა. მას ამშვენებს კეთილმოწყობილი კულტურისა და დასვენების პარკი. დამთავრებულია ყველა ქუჩის მოასფალტება და ლამპიონებით გაჩირაღდნება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშენებლობას. შარშან აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 50-ხაწოლიანი რაიონული საავადმყოფო, რაიონული აფთიაქის ახალი შენობა. დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავისათვის დამთავრდება 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო საბჭოთა კონსტიტუციის დღისათვის — 400-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა.

ახალი წყალსაძაჩი

ხოფელ ხაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით მდინარე მტკვრიდან მოაწყო წყალსაძაჩი, რომელიც ათობით ჰექტარ მიწის ფართობს მორწყავს. ამით კოლმეურნეობას საშუალება ეძლევა ათვისოს 30 ჰექტარი ყამირი მიწა და გააშენოს ხეხილის ბაღები.

კოლმეურნეები სახლებს იშენებენ

ყოველწლიურად უმჯობესდება რაიონის კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრება. ამ უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე შრომადღეზე მიღებული დიდი შემოსავლით რაიონის ბევრმა კოლმეურნემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი. წელს 111 კოლმეურნე იშენებს ახალ სახლს. სახელმწიფო მათ დიდ დახმარებას უწევს. ისინი გრძელვადიანი კრედიტის სახით მიიღებენ 700 ათას მანეთს.

პ. ნიჟაბაძე,
ასპინძის გაზეთ „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორი.

ლირსშესანიშნავი თარიღი სათვის

რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად აბაშის რაიონის მშრომელები ემზადებიან თბილისის 1500 წლისთავის იუბილესათვის. ადგილობრივ ლექტორთა ძალებით კოლმეურნეობებსა და საწარმოებში ეწყობა საუბრები თბილისის ისტორიის შესახებ.

რაიონის ცენტრალურ კულტურის სახლში მოწყობილია თემატური გამოფენა „თბილისი 1500 წლისაა“. მნახველები გამოფენაზე ფოტოდოკუმენტებით ეცნობიან თბილისის წარსულს, აწმყოს და მომავალს, კითხულობენ თბილისის ისტორიის ამსახველ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს.

თბილისისადმი მიძღვნილი გამოფენა მოწყობილია რაიონულ ბიბლიოთეკაშიც. ბიბლიოთეკამ მოაწყო მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „თბილისის 1500 წლისთავი“.

ი. თოფურია.

2.000.000 ტონა სილოსი



მახარაძის რაიონის ხოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა წელს ჩადოს 1.000 ტონა სილოსი ანუ თვითეულ ძროხაზე — 10 ტონა სილოსი. სურათზე: მიწის ზედა დასილოსება ხოფელ შემოქმედის კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქღესის ფოტოქრონიკა).

დავაჩქაროთ საკვების დამზადება

საჩხერის რაიონის კოლმეურნეები იბრძვიან წელს 17.000 ტონა სასილოსე მასის დამზადებისათვის. პირველი სექტემბრისათვის უკვე ჩადებული იყო 4.165 ტონა სილოსი, ხოლო ახალი კოშკები და სასილოსე ტრანშეიები აშენებულია 5.794 ტონისათვის. აღსანიშნავია, რომ რაიონის კოლმეურნეობებს სასილოსედ დათესილი აქვთ 310 ჰექტარი სიმინდი. ამავე მიზნით ნაწვერალზე დათესილია 142 ჰექტარი.

სასილოსე მასის დამზადება-ჩადებაში შედარებით უკეთ მუშაობენ სოფლების პერეული, ორღუღისა და ჩიხის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები ზ. ქიმაძე, ი. და ა. ჭიღლაძეები). სოფელ პერეული კოლმეურნეობას უკვე ჩადებული აქვს 400 ტონა. სილოსის დამზადებაში თავი გამოიჩინეს სოფლების ლიჩისა და სავანის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. ლიჩის კოლმეურნეობაში დამზადებული 200 ტონა სილოსიდან 150 ტონა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა დაამზადეს. სილოსის დამზადებაში ათასამდე კომკავშირელი და ახალგაზრდა მონაწილეობს. მათ 2.000 ტონაზე მეტი სილოსი ჩადეს.

მაგრამ სილოსის დამზადების ტემპი დამაკმაყოფილებელი მაინც როდია. სოფელ კორბოულის მაოძე-დოუნის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. მაჭარაშვილი) პირველი სექტემბრისათვის 310 ტონის მაგიერ ჩადებული ჰქონდა მხოლოდ 80 ტონა მწვანე მასა, სოფელ ჭალოვანის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. შუბითიძე)—500 ტონის ნაცვლად 73 ტონა. ჩამორჩენაა სოფლებში კალუათაში, ჭორვილასა და სარეკში. სილოსის დამზადებაში სრულ უმოქმედობას იჩენენ სოფლების მოხვის, ცხომარეთის, სარეკის, კორბოულის და შომახეთის კომკავშირული ორგანიზაციები. მათ ვალდებულებები იკისრეს, მაგრამ შესრულება დაიგვიწყეს. ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ მთლიანად გამოყენებული როდია საკვების დამზადების არსებული შესაძლებლობანი.

სილოსის ჩადების ძვირფასი დრო გადის. საჭიროა რაიონის ხელმძღვანელობამ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დასილოსების ჯემპი ძლიერდება

ყვარლის რაიონში როგორც კი იმაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ვინ ჩამორჩებოდა რძის წველადობის საქმეში, პირველად თუ არა, მეორედ მაინც ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას ასახელებდნენ.

ახიც იყო, თვითეულ ძროხაზე 350 ლიტრზე მეტ რძეს ვერ ღებულობდნენ. ახლა სხვაა. ჭიკაანელები წველადობის საქმეში პირველნი არიან. რვა თვეში თვითეულ საფურაქე ძროხიდან ათას ლიტრზე მეტი მოწველეს. ეს დიდად აღემატება გასული წლის ამავე პერიოდში მოწველილს.

წელს თვითეული ძროხიდან 1.500 ლიტრს მიიღებენ. მომავალ წელს ორი ათას ლიტრს უნდა გადაამეტონ! გადაამეტებენ კიდეც! ამ საქმისათვის აქედან-ვე მთელი მოწადინებით შრომობენ. ნამჯა იმდენი დაამზადეს, რომ ორ წელიწადს ვერ დახარჯავენ, სიმინდის ჩალაც უგემოვანი ეჭმევთ. არ დაკლდებათ ჭარხალი და კონცენტრატები. გარდა ამისა, 4.210 ტონა საკვების დასილოსება გადაწყვიტეს, გეგმა კი ორი ათას ტონაზე მეტს არ ითვალისწინებდა. როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვკითხეთ, დაგეჭირდებათ თუ არა ამდენი სილოსი პირუტყვისათვისო, მან გვიპასუხა:

— ფერმაში გვყავს 154 სული ძროხა. თვითეულ მათგანს 15 ტონა სილოსი ექნება. ამრიგად მათ 2.310 ტონა მოუნდებათ. დანარჩენს მშრალ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, ღორებსა და სხვა პირუტყვს მოვახმართ.

რომ მწვანე მასა ბლომად ჰქონოდათ, ჭიკაანელებმა 310 ჰექტარ ნაწვერალზე სიმინდი დათესეს. საგულდაგულოდ დაამუშავეს და შედეგიც სასიხარულო მიიღეს. სულ ახლახან დაიწყეს სიმინდის აღება და უკვე 1500 ტონა სილოსი ჩაიღეს. ამ საქმეში ყველანი კარგად მუშაობენ, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც ვერაკვინ შეედრება. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც საშუალო სკოლადამთავრებული ეთერი ხვედელიძე ხელმძღვანელობს, ყოველდღიურად 60-70 ტონა საკვებს ასილოსებს. ბრიგადაში თვრამეტზე მეტი ახალგაზრდა საშუალო განათლებითაა. საშუალო სკოლადამთავრებულები: ლილი კილასონია, ლეილა ნორაძე, ნათელა ხვედელიძე და სხვები თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან.

წიწკანაანთსერის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა საკვების დასილოსების საქმეში 25 აგვისტოსათვის სამარცხვინოდ იყო ჩამორჩენილი. 28 ტონაზე მეტი სილოსი არ ჰქონდათ. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე მ. ბიბილაშვილი) ჩამორჩენის დასაძლევად მთელი ძალები დარაზმა. ახლა წიწკანაანთსერელები ერთ-ერთ პირველ ადგილზე არიან რაიონში. ხუთ დღეში მათ 500 ტონა სიმინდის მწვანე მასა დაასილოსეს. კომკავშირელები შ. ზუბიევი და ბ. ფილიევი, მოხუცი პ. მეუდლური, ა. და მ. მარღიევები ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეობის მექანიზატორების ს. გუჩმაზოვისა და შ. გაზაევის მიზეზით კომბაინის მუშაობა არ ფერხდება, მაგრამ იმის გამო, რომ საკოლმეურნეოთაშორისო ავტობაზის მანქანები გვიან მიდიან და მაშინაც ცუდად მუშაობენ, ხშირად ცდებიან.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც ნიჭიერი ორგანიზატორი ნ. ახოშვილი ხელმძღვანელობს, 1.800 ტონა საკვები უნდა დასილოსებია. ამდენი სილოსით რას უნდა გაგზდეთო, ეკითხეს ახალსოფლელებმა და მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ 3.125 ტონა სილოსი დაამზადონ. ვალდებულების შესასრულებლად ყოველგვარი საშუალება გააჩნიათ. სასილოსე კულტურები — სიმინდი და სოია ბევრი უთია-სიათ, ორმოები და ტრანშეები საკმარისი აქვთ. ახალსოფელში საკვების დასილოსების ტემპი დღითიდღე ძლიერდება. ათ დღეში ათასი ტონა სილოსი ჩადეს. ამ საქმეზე საკვებმოპოვების ბრიგადა (ბრიგადირი ფ. ხუციშვილი) მუშაობს. ბ. ალადაშვილი საკუნ მანქანას ისე ამუშავებს, რომ დღიურ დავალებას დიდი გადამეტებით ასრულებს. კოლმეურნეებიდან ყველაზე მეტად ელო ზარდიაშვილს, ქეთევან ხეჩიაშვილს, ათას ბუთიაშვილსა და სხვებს აქებენ.

საკვების დასილოსება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს შილდის კუბიშევის, გავაზის ენგელსის, ახალსოფლის მარკნიშვილის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ასეთ კარგ საქმეზე აბა ცუდი რა გვეთქმის, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ რიგ კოლმეურნეობებში სილოსის დამზადება ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ავიღოთ თუნდაც მთისძირის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა. აქ შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა რძის წველადობა. ეს იმან გამოიწვია, რომ საკვებისათვის სათანადოდ არ იზრუნეს. ამ მწარე გაკვეთილიდან დღემდე ვერ გაკეთეს სათანადო დასკვნა. მთისძირელებმა 1.100 ტონა სილოსის დამზადება ივალდებულეს. ვალდებულების აღება კარგი საქმეა, მაგრამ უკეთესია მისი წარმატებით შესრულება. ამ დარგში კი სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. დღემდე სამას ტონაზე მეტი სილოსი არ ჩაუღია. თუ ამ ტემპით იმუშავეს, ვალდებულებას ვერც ოქტომბრის ბოლოს გადაიხდიდენ. ეს იცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. პოსოშვილმა, მაგრამ რატომღაც ჩამორჩენის გამოსასწორებლად სათანადო ზომებს არ ღებულობს.

ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ბურდიაშვილი) შედარებით სხვა კოლმეურნეობებთან გაცილებით ნაკლები — 2.340 ტონა სილოსის ჩადება ივალდებულა. სამწუხაროდ არც მისი შესრულებისათვის იწუხებენ თავს.

საკვების დასილოსება შედარებითნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე შილდის ორჯონიკიძის, ბალეოჯიანის წითელი ოქტომბრის სახელობის და კუჭატნის კოლმეურნეობებში. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები — რ. აღნიაშვილი, მ. მიხეილიძე და ნ. ჭერაშვილი. ხომ არ ჰგონიათ, რომ ზამთარში მეზობელი კოლმეურნეობები უწილადებენ სილოსს?!

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ავამაღლოთ ჩაის კრეფის ჯემპი, პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულება

★ ★ ★ ★

მწვანე ფოთოლს გეგმის გადამეჯებით კრეფენ

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

ახლა, როცა ჩაის ფოთლის კრეფა გადამწყვეტ ფაზაშია შესული, ქობულეთელი კოლმეურნეები ერთი წუთითაც არ ანებებენ მუშაობის ტემპს, პირნათლად ანაღდებენ აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებებს. პარტიის ქობულეთის რაიკომის ინსტრუქტორი ე. მეკვაბიშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ წელს რაიონში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების დიდ შესაძლებლობებს კარგად იყენებენ, ხელსაყრელმა ამინდმა კიდევ უფრო დაიჩქარა ბუჩქის ზრდა-განვითარება, ფოთლის შემოსვლა. გაუმჯობესდა კრეფის ხარისხი. კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს გეგმისა და აღებული ვალდებულებების შესრულება. სოფელ ქაქუთის სასოფლო-სამეურნეო არტელმა 25 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა — 300 ტონის ნაცვლად მრეწველობას ჩაბარა 335 ტონა ნედლეული, მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ახლა ამ სოფლის კოლმეურნეობაში გაჩაღებულია შრომა, რათა უფრო მაღალი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას და პირობას იძლევიან სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრიფონ სულ ცოტა 20 ათასი კილოგრამი ნედლეული.

შარშან, წერს თავის კორესპონდენციაში მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გორდელაძე, ჩვენმა კოლმეურნეობამ მეჩაიეობიდან 7 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო. წელს კი ამ კულტურის მოსავალი ფულზე გადაყვანით არტელს 9 მილიონ მანეთზე მეტს მისცემს. 770 ტონა ფოთოლი, რომლის მოკრეფა გეგმით იყო გათვალისწინებული ამ სეზონში, მთლიანად ჩაბარდა სახელმწიფოს. ახლა ჩვენმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფლკორი ოჩამჩირის რაიონიდან ვ. დოხნაძე გვწერს, რომ რაიონის ახალგაზრდები ახლა თავიანთი სახელოვანი დღესასწაულის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და ყოველდღიურად აძლიერებენ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპს. მათ ვალდებულება აქვთ ყოველდღიურად ანაღდებენ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპს. ამ ვალდებულებებზე ადგილობრივ ინსტრუქტორებმა ინაბეზეთ ბ. ბარბაქაძე, ა. ბარბაქაძე, ბ. ბარბაქაძე, ბ. ბარბაქაძე, ბ

წერილები რედაქციას

წულუკიძე-მათხოჯის გზის კეთილმოწყობა უნდა დამთავრდეს

1956 წელს დაიწყო წულუკიძე-მათხოჯის გზის კეთილმოწყობა. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ კეთილმოწყობის სამუშაოები ჯერჯერობით მხოლოდ ოთხ კილომეტრზეა ჩატარებული, ისიც უხარისხოდ. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების სამმართველოს ქუთაისის განყოფილებამ, რომელიც გზის კეთილმოწყობას აწარმოებს, სამუშაოების დაჩქარების მიზნით მათხოჯში დადგა რიყის ქვის სამტვრევი მანქანა, მაგრამ აქ დამზადებულ მასალებს სხვა გზების კეთილმოსაწყობად იყენებდნენ.

აღნიშნული გზის კეთილმოწყობა იმ მოსაზრებითაც უნდა დაეჩქარებინათ, რომ სოფელ მათხოჯამდე ქუთაისის საავტომობილო ქარხანას მუშების გადასაყვანად გამოყოფილი აქვს სამგზავრო მანქანები. უთვარგისი გზის გამო ქალაქ წულუკიძის შემდეგ მათხოჯის მიმართულებით მუშების ნაწილი მგზავრობს საბარგო მანქანებით.

ფაქტები მოწმობენ, რომ წულუკიძე-მათხოჯის გზის კეთილმოწყობის დროულად დამთავრებაზე არავინ ზრუნავს, რადგან გზის სატკეპნი მანქანები და სხვა მოწყობილობანი ამ სამუშაო უბნიდან სხვა რაიონში გადაუტანიათ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების სამმართველომ მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს წულუკიძე-მათხოჯის გზის კეთილმოწყობის საქმეში და დროულად დაამთავროს იგი.

ვ. ჩიმაკაძე.

დრო გამოიცეს მონოგრაფია ნიკო ფიროსმანიშვილზე

მრავალფეროვანია სახალხო თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება. საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდი გულისყურითა და მზრუნველობით ეკიდება მის მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც ქართული სახვითი ხელოვნების საგანძურშია შესული.

მაგრამ განსაკუთრებული გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო მდგომარეობა, რომ დღემდე არ მოგვეპოვება მონოგრაფია ამ უაღრესად საინტერესო ქართველ მხატვარზე, ხოლო 1923 წელს გამოცემული მონოგრაფია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მას ვერ იშოვნით ბუკინისტურ მაღაზიაში და ზოგიერთ მასობრივ ბიბლიოთეკაშიც კი.

ი. მჟედლიშვილი.

უზრუნველყოთ ქალაქების მოსახლეობა მაღალხარისხოვანი ხილით და ბოსტნეულით

ზრდიან მოსავლიანობას

კოლხიდის მადლიანი მიწა განთქმულია ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლით. ფოთის ტერიტორიაზე შექმნილ სამ საბჭოთა მეურნეობაში ბოსტნეულის ფართობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება მოსავლიანობა ჰექტარზე. შარშან ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ 445 ცენტნერის ნაცვლად 734,2 ცენტნერი ბოსტნეული მიჰყიდა სახელმწიფოს.

მეურნეობაში წელსაც უხვ მოსავალს იღებენ. 5 სექტემბრამდე ქალაქის მოსახლეობამ უკვე მიიღო 428 ცენტნერი ბოსტნეული და 100 ცენტნერი ბაღჩეული. მეურნეობა წლის ბოლომდე ქალაქის მოსახლეობას კიდევ მიაწვდის 800 ცენტნერ ბაღჩეულსა და ბოსტნეულს.

ბალადიდის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში, შარშანდელთან შედარებით, დიდი რაოდენობით დათესეს კომბოსტო, პამიდორი, ლობიო, კიტრი, ბაღრიჯანი, ხახვი, ნესვი, საზამთრო და სხვ. ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს სხვადასხვა ბოსტნეულს. ბალადიდელები წელს დიდძალ ბაღჩეულსა და ბოსტნეულს აწვდიან ქალაქის მოსახლეობისა და კურორტ მენჯის დამსვენებლებს.

რამდენიმე ჰექტარზეა გადაშლილი პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღჩები და ბოსტნეები. ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვა რ. ბაგიროვის ოჯახმა, რომელიც ხვავსა და ბარაქას ბატებს მეურნეობას. ეს მეურნეობა ქალაქ ფოთის მშრომელებს ყოველდღიურად აწვდის საუკეთესო ხარისხის ბოსტნეულსა და ბაღჩეულს.

ფოთის საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაზარდონ ბაღჩეულ-ბოსტნეულის მოსავლიანობა და მიაწოდონ არა მარტო ქალაქისა და კურორტ მენჯის დამსვენებლებს, არამედ ჩვენი ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრებსაც მისცენ კოლხიდის მადლიანი მიწის ნაყოფი — კარგი ხარისხის ბაღჩეული და მწვანილი.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჰექტარზე 500 ცენტნერი პამიდორი...

— ბოსტნეულის მაღალი მოსავლის ოსტატები გაინტერესებთ? რამდენიც გნებავთ, იმდენი გვყავს. მაგრამ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნამაზ ასტან ოღლის ბრიგადას მაინც ვერავინ შეედრება. — გვეუბნება გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი აგრონომი ამბ. ლ. მიმინოშვილი და ნათქვამს ფაქტებით ადასტურებს:

— ბრიგადამ შარშან ჰექტარზე საშუალოდ 410 ცენტნერი პამიდორი, 380 ცენტნერი ბადრიჯანი, 70 ცენტნერი კიტრი და ათობით ტონა ბაღჩეული მოიყვანა. წარმატებანი თვალსაჩინოა, მაგრამ მოწინავე ბრიგადის წევრები მას როდი სჯერდებიან. წელს ბოსტნეულის დასათესი ფართობი წინასწარ გულმოდგინედ დაამუშავეს. ჯერ გაანოყიერეს და შემდეგ ღრმად მოხნეს 27-30 სანტიმეტრზე. ბოსტნეულის დათესვის ან დარგვის წინ ნიადაგი კიდევ გაფხვიერეს.

ნაყოფიერ შრომას სასურველი შედეგი მოჰყვება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბრიგადაში წელს უკეთესი მოსავალია, ვიდრე შარშან. ერთიორად გაზარდეს კიტრისა და ხახვის მოსავალი, ჰექტარზე მოიყვანეს აგრეთვე 150 ცენტნერზე მეტი საზამთრო.

სხვა ბოსტნეულის მოსავლის აღება აქ ჯერ არ დამთავრებულა. თვითეულ ჰექტარზე 500 ცენტნერი პამიდორის მიღება აქვთ ნავარაუდევი, ჰექტარზე არ სჯერდებიან 400 ცენტნერ ბადრიჯანს, 150 ცენტნერ კომბოსტოს. ვალდებულების ორ მესამედზე მეტი ბრიგადას განაღდებული აქვს.

მოწინავე ბრიგადის გამოცდილებას კოლმეურნეობაში სხვა ბრიგადებიც ფართოო იყენებენ.

ბ. დავითაძე.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ჩინეთის ხალხური რესპუბლიკის მთავრობისადმი

9 სექტემბერს სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ფ. ანტონოვმა გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჯან ხან-ფუს საბჭოთა მთავრობის ნოტა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი.

ნოტაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მთავრობამ ცნობად მიიღო და სავსებით სცემს პატივს ჩინეთის მთავრობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების სიგანე წესდება 12 საზღვაო მილი და რომ ვერავითარი სამხედრო დანიშნულების საზღვაო გემი და უცხოელთა საფრენი აპარატები ვერ შეიჭრებიან რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და საჰაერო სივრცეში ამ წესების თაობაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ნებადაურთველად.

სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნულია ნოტაში, ცნობად იღებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება ეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ტერიტორიას, მათ შორის მატერიკის ჩინეთს, ტაივანსა და მის მიმდებარე კუნძულებს, პენხულიდაოს კუნძულებს, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილ სხვა კუნძულებს.

საათანადო საბჭოთა ორგანიზაციებს მიეცათ მითითება, რომ ზუსტად დაიცვან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თორმეტმილიანი ტერიტორიული წყლების დაწესებული საზღვრები.

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე, რომელიც 16 სექტემბერს იხსნება ნიუიორკში, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (დელეგაციის მეთაური), ვ. ა. ზორინი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (დელეგაციის მეთაურის მოადგილე), ნ. ა. მურავიოვი — რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, ა. ა. სიბოლევი — სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ს. კ. ცარაპკინი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი.

დელეგაციის წევრთა მოადგილეებად დანიშნულნი არიან: გ. პ. არკადიევი, ი. ი. გაბკა, კ. დ. ლევიჩკინი, ბ. გ. მარტიროსიანი, ი. ი. ტუგარინოვი.

დელეგაციის მრჩევლებად დანიშნულნი არიან: ა. მ. ალექსანდროვი, ვ. ქ. გრუბიაკოვი, ტ. ი. ერშოვი, ნ. ი. მოლიაკოვი, შ. დ. მოროზოვი, ა. ა. ოხოტინი, მ. ა. ხარლამოვი.

გულგარეთის გზეგზე

იმ ქვეყნებში, სადაც ხალხებმა საკუთარ ხელში აიღეს თავიანთი ბედიღბალი, ყველა გზა მიდის ბედნიერებისაკენ, მშვიდობისა და მეგობრობისაკენ. ბულგარეთისაკენ მიმავალი მგზავრი ისე ვერ შეავა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ამ პატარა, მაგრამ ლამაზ ქვეყანაში, თუ არ გაიარა მდინარე დუნაიზე აგებული გრანდიოზული ხიდი, რომელსაც „მშვიდობისა და მეგობრობის ხიდი“ ეწოდება. ეს ხიდი 1954 წელს აიგეს ბულგარეთისა და რუმინეთის მშენებლებმა საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და პოლონეთის დახმარებით.

მშვიდობისა და მეგობრობის ამ დიდი გზით შევედით ბულგარეთის მიწაზე. უკან დარჩა ცისფერი დუნაი. ერთი ნაცნობი სიმღერისა არ იყოს: „ჩვენ წინ ქვეყანა ბულგარეთია, უკან — მდინარე დუნაი“.

აი ქვეყანა ბულგარებისა, მრავალგზის ტანჯული, მტრის უღელქვეშ მრავალი წლის განმავლობაში მგმინავი, ოდესღაც თურქის მახვილით დამონებული, დღეს კი წელში ამაყად გამართული, თავისუფალი და მომღიმარი...

ღამის ორ საათზე უკვე ვიყავით პლევენში — რუსული დიდების ქალაქში. პლევენმა ხომ მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი რუსულ იარაღს. აქ 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა. რუსი ჯარისკაცების უმაგალითო გმირობით ამავე წლის 10 დეკემბერს პლევენი დაეცა და თურქეთმა ზავი ითხოვა. იმ ისტორიული დღეების უკვდავსაყოფად ქალაქში 80-მდე ძეგლი დადგმული.

მეორე დღეს ვახეთი ქალაქ პლევენის განთავისუფლების პარკი-მუზეუმი. შენობაში, სადაც დატყვევებული თურქეთის არმიის სარდალი ოსმან-ფაშა მიიღო რუსეთის სარდლობამ, გამოფენილია რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი მრავალი ექსპონატი. პარკის შესასვლელთან წარწერა გვამცნობს: „თავი დახარეთ ჩვენი ძმების — განმათავისუფლებლების გმირობის წინაშე და შეინახეთ რუსი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულება“.

პარკ-მუზეუმთან ახლოს დგას შესანიშნავი მავზოლეუმი-ტაძარი, სადაც ასვენია დაღუპულ მეომართა ნეშტები. მავზოლეუმის შესასვლელთან გაზონში ყვავილებით ამოკეთილია წარწერა: „გმირებო, თქვენმა ძვლებმა გვიხსნეს ჩვენ“.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მწვანე მთებთან სკობელევის პარკი-მუზეუმია. აქ მომსვლელს ყურადღებას იპყრობს დაფაზე წარწერილი სიტყვები: „გამეცალო! როცა ამ ხეებს ჩრდილქვეშ გაივლი, არ ილაპარაკო ხმამაღლა, არ იმღერო და არ იხმაურო, არ დაარღვიო აქ დაღუპული რუსი მეომრების ნეშტების მყუდროება. ეს ადგილი წმიდათა-წმიდაა ბულგარეთისათვის“.

ამ უწმიდეს ადგილებს მართლაც დუმილით ვეთვალიერებთ. ვნახულობთ რუსულ ზარაბაზნებს. ისინი განლაგებულია იმავე პოზიციებზე, რომლებზეც 1877 წელს იდგა. ეს ზარაბაზნები გამოყენებული იყო კინოფილმ „შიპკის გმირების“ გადაღების დროს.

პლევენის ცენტრში აღმართულია საბჭოთა მეომრის — განმათავისუფლებლის ძეგლი. მის კვარცხლბეკთან ყოველთვის დგას ყვავილების გვირგვინი. ბულგარელი ხალხი წმიდად ინახავს თავისი ორგზის განმათავისუფლებლების ხსოვნას — 1877 წლის ომში დაღუპული რუსი მეომრების და 1944 წელს გმირულად დაცემული საბჭოთა მეომრების ხსოვნას.

დილაადრიან გეზი ავიღეთ შიპკის უღელტეხილისაკენ — რუსული იარაღის დიდების დამადასტურებელი მეორე სახელგანქმული ადგილისაკენ. შუადღისას ჩავედით უძველეს ქალაქ ტირნოვოში, რომელიც მდინარე იანტრის ნაპირებზე მდებარეობს. ამ ქალაქის სახელთან დაკავშირებულია მრავალი ისტორიული მოვლენა. 1185 წელს აქ მოხდა აჯანყება ბიზანტიის ორასწლიანი ბატონობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ტირნოვო იყო შუა საუკუნეების ბულგარეთის სამეფოს დედაქალაქი. ვნახეთ 1946 წელს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაწყებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი მეფე ასანის XII საუკუნის სასახლე, ძველი მეჩეთი და სხვა ადგილები. 1944 წელს ამ ქალაქში მოთავსებული იყო უკრაინის მესამე ფრონტის შტაბი.

საღამოს უკვე შიპკაზე ვიყავით. აქ 1.329 მეტრის სიმაღლეზე 1877 წელს რუსი მეომრები და ბულგარელი მოხალისეები სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდნენ თურქეთის 40-ათასიანი არმიის წინააღმდეგ. ბევრი რუსი მეომარი დაეცა ბულგარეთის მიწის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. სწორედ იმ დღეს, როცა უღელტეხილზე 6.500 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, გენერალმა რადეცკიმ უმაღლეს მთავარსარდლობას აცნობა — შიპკაზე სიწყნარეაო...

ოთხმოცი წლის წინათ ამ უღელტეხილზე დაბადა ბულგარეთის თავისუფლება. ისტორიული ბრძოლების აღსანიშნავად ნაგად სტოლეტოვის სიმაღლეზე დადგმულია გრანდიოზული ძეგლი. ძეგლის ჩრდილოეთის მხრიდან დგას ბრინჯაოს ლომი, ამაყად აწეული თავით. მას 8 მეტრი სიგრძე და 4 მეტრი სიმაღლე აქვს. შიგნით კი, თეთრი მარმარილოს სარკოფაგში, რომელიც დევს ოთხი მწოლიარე ლომის მხრებზე, დაღუპულ გმირთა ძვლებია.



სოფია. სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა.

• • •

შიპკის უღელტეხილთან ახლოს, სტარა პლანინის მთებთან შორიდანვე ბრწყინავს სოფელ შიპკის ოქროსგუმბათიანი ძეგლი-ტაძარი, რომელიც არქიტექტურის შედევრს წარმოადგენს. იგი ააგო რუსმა ხალხმა შიპკის გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. ტაძარში განისვენებენ შიპკის მამაცი გმირები. მემორიალური დაფები იუწყებიან ამ გმირთა გვარებს, რომელთა შორის ამოგიკითხეთ კაპიტანი ლეონ ვაჩნაძე, პოდპორუჩიკი იოსებ გრიგორაშვილი. ძეგლ-ტაძრის შთაბეჭდილებათა წიგნში ვნახეთ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმოწერა.

სოფელ შიპკიდან პლოვდივისაკენ მივეშურებით. გზად გვეგულება ოთხი პეტრიწონელის მონასტერი, რომელიც სოფელ ბაჩკოვოსთან არის. ქართველ ტურისტთა თხოვნით ავტობუსმა ბაჩკოვოსაკენ შეუხვია.

პეტრიწონელის მონასტერი აგებულია მდინარე ჩაიას მარჯვენა მხარეს, როდოპის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. როგორც ცნობილია, იგი 1083 წელს დაუარსებია ქართველ მხედართუფროსს გრიგოლ ბაკურიანისძეს. ამ მონასტერში მოღვაწეობდა შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი იოანე პეტრიწონელი. მონასტერში გვაჩვენეს ქართული ღვთისმშობლის ხატი ქართული და ბერძნული წარწერებით. გუმბათის ჯვარზე კი არის ქართული წარწერა — „ძლევაი“. ეს XI საუკუნის ის ძლევის ჯვარია, რომელიც ქართველთა ლაშქარს წინ უძღოდა ომში. ვნახეთ აგრეთვე მონასტრის წესდების ქართული ხელნაწერის ფოტოპირი. ეს წესდება გრიგოლ ბაკურიანისძეს შეუდგენია ქართულად, ბერძნულად და სომხურად. ამავე მონასტრის აღმოსავლეთით აგებულია XI საუკუნის საძალე, რომლის შესასვლელთან ნახავთ ძმების — გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა ფრესკებს.

საღამოს ჩვენი ტურისტული ჯგუფი პლოვდივში ჩავიდა. აქ რამდენიმე დღეს დავრჩით, გავეცანით ქალაქის ღირსშესანიშნაჯ ადგილებს, დავთვალიერეთ ხალიჩების ფაბრიკა, არქეოლოგიური მუზეუმი. ამ მუზეუმში ყურადღება მიიპყრო IV საუკუნეში დამზადებულმა ოქროს სასმისებმა, რომელთა წონა 6 კილოგრამს უდრის.

მოგზაურობის უკანასკნელი დღეები გავატარეთ სოფიაში — ბულგარეთის დედაქალაქში, უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრში. უძველეს ქალაქს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა და მხოლოდ XIV საუკუნეში დაერქვა სოფია. 1386 წელს სოფია თურქებმა დაიპყრეს. თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ 1879 წელს იგი ბულგარეთის დედაქალაქი გახდა.

სოფია დიდი, ლამაზი, სუფთა და კეთილმოწყობილი ქალაქია. ქალაქის ცენტრში თვალს იტაცებს მოედანი, პარკები და ბაღები, რომლებიც დამშვენებულია ძეგლებით, ქანდაკებებით. სოფიის ცენტრალური მოედანია 9 სექტემბრის სახელობის მოედანი, რომლის სამხრეთ ნაწილში აგებულია ბულგარელი ხალხის დიდი ბელადის გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი. მავზოლეუმის გვერდით დაკრძალულია დიმიტროვის სახელოვანი თანამებრძოლი ვასილ კოლაროვი. მავზოლეუმის პირდაპირ, თურქეთის მმართველის ყოფილ შენობაში, შემდეგ კი ბულგარეთის მეფეთა რეზიდენციაში მოთავსებულია სურათების სახელმწიფო გალერეა. მოედნის დასავლეთ მხარეს აღმართულია გრანიტითა და თეთრი ქვით მოპირკეთებული მონუმენტური შენობა, რომელიც ომისშემდგომ წლებშია აგებული. ეს ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს სახლია.

სოფია ქალაქი-პარკია. მწვანე ნარგავებს აქ 750 ჰექტარი უკავია. ბულგარელებს აქვთ ერთი ბრძნული ნათქვამი: „ადამიანს, რომელმაც თუნდაც ერთი ხე დარგო, ტყუილად არ უცოცხლია“. მართლაც, სოფიაში არ არის ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთი ხე მაინც არ დაერგოს.

ბულგარეთის დედაქალაქში ბევრია ისტორიული ადგილი და შენობა. შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია ალექსანდრე ნეველის ტაძარი, რომელიც აგებულია ხალხის სახსრებით. რუსულ-ბიზანტიურ სტილზე, თურქეთის მონობის წინააღმდეგ რუსი და ბულგარელი ხალხების ერთობლივი ბრძოლების აღსანიშნავად. ამ ტაძრის გვერდით არის 527-565 წლებში წათელი აგურისაგან აშენებული ტაძარი, რომელიც წმ. სოფიის სახელს ატარებს. ტაძრის ახლოს განისვენებს დიდი ბულგარელი მწერალი ივან ვაზოვი. მის საფლავზე მწერლის ანდერძის თანახმად დევს ვიტოშის მთიდან ჩამოტანილი უზარმაზარი ქვა, რომელზეც მან დაწერა ლექსი „მაისის ღამე“.

სოფიაში დიდი მშენებლობანი წარმოებს. მარტო შარშან აქ აშენდა 7,5 ათასი ოთახი, რომელთა საერთო ფართობი 335 ათას კვადრატულ ჭეტრს უდრის. ყოველი მეათე სახლი უკანასკნელ ათ წელიწადშია აშენებული. სოფიაში არის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ათობით სხვა უმაღლესი სასწავლებელი, რამდენიმე ათეული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. დედაქალაქს აქვს 11 თეატრი, 15 მუზეუმი, 37 კინოთეატრი, 118 სახალხო სამკითხველო, ასობით ბიბლიოთეკა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი. როგორც ინსტიტუტის დირექტორმა პოეტმა-აკადემიკოსმა ლიუბომირ სტოიანოვმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სოფიაში გამოვიდა რუსული პოეზიის ანთოლოგია, მალე გამოვა უკრაინული და ბელორუსული პოეზიის, ხოლო შემდეგ ქართული პოეზიის ანთოლოგიები. ამჟამად მთარგმნელთა ჯგუფი აკადემიკოს ნიკოლოზ ლილიევის ხელმძღვანელობით მუშაობს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბულგარულად თარგმნაზე. პოემის ბულგარული ბწკარედი გაუკეთებია სოფიაში მცხოვრებ ქართველს ივანე ბიტაძეს.

ბულგარეთი განთქმულია წარსულის საუნჯეებით, რომლებსაც ხალხი წმიდად ინახავს. ყოველ ნაბიჯზე შეხვდები თავისუფლებისათვის ბრძოლის უკვდავმყოფელ ძეგლებს. მარტო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის აღსანიშნავად ბულგარეთში აღმართულია 446 ძეგლი. სოფიაში ხალხმა უკვდავყო მგზნებარე რევოლუციონერის ვასილ ლევსკის ხსოვნა. ერთ-ერთ მოედანზე, იმ ადგილას, სადაც ლევსკი ჩამოახრჩეს, დგას მისი ძეგლი-ობელისკი. განმათავისუფლებელთა მოედანზე გამქელელი მოწმეებით ხრის თავს თურქეთის უღლისაგან განმათავისუფლებელი რუსი მეომრების ძეგლის წინაშე. რუსეთის ბულგარზე მდებარე ბარკის შესასვლელთან შორიდანვე მოჩანს საბჭოთა არმიის — განმათავისუფლებლის გრანდიოზული მონუმენტი, ხოლო თავისუფლების პარკში ცის სილურჯეში მიიწევს მაღალი, თოვლივით თეთრი ობელისკი იმ გმირების პატივსაცემად, რომლებიც სახალხო ხელისუფლების გამარჯვებისათვის დაეცნენ. უყურებთ ამ ძეგლებს და ამბობთ: არა, გმირები არ კვდებიან. ტყუილად როდი უთქვამს ბულგარელი ხალხის დიდ პოეტს და თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლებისათვის უშიშარ მებრძოლს ხრისტო ბოტევს: „ვინც შეეწირა თავისუფლებას, არ კვდება“. აკი ამიტომაც იმ თეთრ ობელისკზე ამოკვეთილია ეს დაუვიწყარი სიტყვები: „ტოს, კოიტო პაღნე ვ ბოი ზა სვობოდა, ტოი ნე უმირა“.

სტეფანე არღუნელი.

სოფია — თბილისი.

თბილისის 1500 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სამრეწველო გამოფენა

ბრძოლის ქუჩაზე, იქ, სადაც წინათ საქართველოს სხრ ხოფლის მეურნეობის ხამინისტროს ხილის სანერგე იყო, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამრეწველო გამოფენის პავილიონების შენებლობა. გამოფენა გაიხსნება თბილისის დაარსების 1500 წლისთავის დღესასწაულისათვის.

5 ჰექტარ ფართობზე განლაგებული იქნება მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის, გარეუბნის რაიონის, კავშირგაბმულობის, ადგილობრივი მრეწველობის პავილიონები, ყვავილთა პავილიონი და სხვ.

გამოფენის ტერიტორიაზე გაშენებულ იქნება ბარკი, აგებენ რესტორანს, კაფეს, 400-ადგილიან ღია ესტრადას, გაზეთების, სუვენირების, ხილის, ნაყინის გასაყიდ კიოსკებს.

გამოფენა ისეა დაგეგმილი, რომ შესაძლებელი იქნება ყველა ექსპონატის თანმიმდევრული დათვალიერება. ყველა პავილიონი გადაწყვეტილია მარტივი, ლაკონიური ფორმით, ერთიანი არქიტექტურული ანსამბლით. ჰარმონიულად შეხამებულია გარეგანი და შინაგანი მხატვრული გაფორმება. მანქანათმშენებლობის, მთავარი პავილიონი მთლიანად ლითონისა და მინისაგან შენდება.

გამოფენას დაამშვენებს ხამი შადრევანი, ვ. თოფურიძის ქანდაკება „მშვიდობისათვის“, ხეივნები, წყლის აუზები.

მთავარ შესასვლელთან 17 მეტრ სიმაღლეზე აიგება დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის სიმბოლიური გამოსახულება.

თბილისის ხამრეწველო გამოფენა ასახავს საქართველოს დედაქალაქის — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ხამრეწველო ცენტრის ინდუსტრიულ-ტექნიკურ სახეს.

დამთვალიერებლები გაეცნობიან თბილისის ხაწარმოთა მრავალ პროდუქციას: ჩარხებს, მანქანებს, ხელსაწყოებს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს და მთელ რიგ სხვა ნაწარმს.

გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, თბილისის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ახალი ნამუშევრების ჩვენებას.

გამოფენის ადმინისტრაცია (დირექტორი ბ. ბუკია) გამოსაცემად ამზადებს მეგზურს, არჩევს მეთოდისტთა, ექსკურსიის მძღოლთა, უცხოელი ტურისტებისათვის თარჯიმანთა შტატს.

გამოფენის მშენებელთა კოლექტივს განზრახვა აქვს ყველა სამუშაო დაამთავროს საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავის იუბილესათვის.

ხურათებზე: 1. თბილისის სამრეწველო გამოფენის მშენებლობის საერთო ხედი.

2. პროექტის ავტორთა ჯგუფი (მარჯვნიდან მარცხნივ): მთავარი არქიტექტორი და მთავარი მხატვარი ლ. მამალაძე, არქიტექტორები ვ. ნასარიძე, ს. კაციტაძე, დ. პაპინაშვილი თბილისის სამრეწველო გამოფენის სამუშაო მაკეტთან.

ტექსტი ვ. ვიგანანსკისა, ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოკრონიკა).



საუგარი სოციალისტური შრომის გმირეგზე

გაგრატ მელქაძე

როცა ამ კაცს ესაუბრებით, ყოველთვის გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ იგი ქარხანაში დაბადებულა და დავაჟკაცებულა. თავის სიხარული და ბედნიერება ქარხნის ცხოვრებასთან დაუკავშირებია. მართლაც რომ ასეა. ბაგრატ მელქაძემ 28 წლის წინათ დაიწყო მუშაობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობაზე. მაშინ ქარხნის ძირითადი კორპუსის მშენებლობა მთავრდებოდა. დადგა ქარხნის კადრების მომზადების საკითხი, და ყველაზე გამრჯე, ნიჭიერი ახალგაზრდები შეარჩიეს თბილისში გასაგზავნად. მათ შორის იყო ბაგრატ მელქაძეც. თბილისში საცდელ ღუმელზე, რომელსაც პროფესორი გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, ბაგრატმა მიიღო მდნობელის პირველი ნათლობა. ვინ მოთელის მას შემდეგ რამდენი დნობა განუხორციელებია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი საამქროს გამოცდილ მდნობელს, ცვლის უფროსს ბაგრატ მელქაძეს.

ქარხნის ამუშავების პირველ დღეებს რომ იგონებს, სიხარულის ღიმილი გადაჭკრავს სახეზე:

—მე, მექურეობა მომანდეს,— ამბობს ბაგრატი, — პირველი ღუმელის პირველ დნობას, დიდი და პატარა თავს დავტრიალებდით. მაგრამ ჩემი სიხარული მაინც სხვა იყო. ღუმელი მე უნდა გამეხსნა. ნიშანი მომცეს თუ არა, ღუმელის სარქველი, რომელიც მაგნეზიტის სილით იყო გამაგრებული, რკინის გრძელი ჯოხით გავხსენი და გზა მივეცი პირველ ლითონს...

ბაგრატ მელქაძე უყვართ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სადაც იგი უკვე 15 წელია ცვლის უფროსად მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მისი მრავალი რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა წარმოებაში.

ქარხანაში ვიწრო ადგილი იყო ლითონის ჩამოსხმის ორგანიზაციის საკითხი. ლითონის პირდაპირ ბოყვებში ჩამოსხმა იწვევდა წმინდა ლითონის არევას წიდაში. გარდა იმისა, რომ ლითონის განსაცალკევებლად დიდი შრომა იხარჯებოდა, ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. ბაგრატ მელქაძემ წინადადება შეიტანა სიფონური ბოყვების მოწყობის შესახებ, რაც იმას გულისხმობდა, რომ ლითონი ჯერ ციცხვში ჩასხმულიყო, ხოლო ციცხვიდან— სიფონში. ამ მეთოდით წიდა ადვილად სცილდებოდა ლითონს. უკვე მესამე წელია ეს წინადადება დანერგილია წარმოებაში და ამით ყოველწლიურად ქარხანას 31.488 მანეთი ეკონომია აქვს.

ბაგრატ მელქაძე თანაავტორია კიდევ ერთი რაციონალიზატორული წინადადებისა. ინჟინერმა მ. რაზმაძემ, ოსტატმა ს. კიკნაძემ და ბ. მელქაძემ დაამუშავეს წინადადება, რომ ლითონის ჩამომსხმელი ციცხვის ამოღება ეწარმოებინათ ნაცვლად ციცხლგამძლე აგურისა ელექტროდის მასით. ამ მეთოდით მომზადებული ციცხვები 3-4-ჯერ მეტ ხანს ძლებს და მასალების ეკონომიასაც იძლევა. ერთი წელია, რაც ეს წინადადება განხორციელდა და ამის შედეგად ქარხანამ 49 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ბაგრატ მელქაძეს წელს, მეტალურგის დღესასწაულთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ეს მთელი ქარხნის კოლექტივის გამარჯვება და სიხარული იყო.

ლ. ლოლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აღმოვუხვრათ ომის საშიშროება შორეულ აღმოსავლეთში!

★ ★

ჩინეთის საზოგადოებრიობის ყურადღება ცენტრში

პეკინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჩინელი ხალხი დიდი ყურადღებით შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი ტაივანის რაიონში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე.

პეკინის საღამოს გაზეთმა „ბეიჭინ ვან ბაომ“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის სრული ტექსტი დიდი სათაურით: „ხრუშჩოვი აფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე თავდასხმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმაა. სსრ კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჩინეთთან ერთად დაიცვას ორივე სახელმწიფოს უშიშროება“.

აღრე დილადანვე ცენტრალურმა სახალხო ფართო მაუწყებლობის რადიოსადგურმა, პეკინისა და ჩინეთის სხვა ქალაქების რადიოსადგურებმა არა ერთხელ გადასცეს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსი.

ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში

ვ. ულბრიხტის განცხადება

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). აღნის სააგენტომ გადმოგვცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ულბრიხტის განცხადება ამერიკელი იმპერიალისტების პროვოკაციული მოქმედების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ვ. ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხნის წინათ მთელი მსოფლიოს მშვიდობა საფრთხეში იყო ამერიკა-ინგლისის აგრესიის შედეგად ახლო აღმოსავლეთში. ახლა შეერთებული შტატები თავს უყრიან თავიანთ ჯარებს მორეულ აღმოსავლეთში. ამერიკის ამ პროვოკაციებს ერთსულოვნად გმობს ყველა ხალხი როგორც პოლიტიკურად, ისე მორალურად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა, აღნიშნა ვ. ულბრიხტმა, ღრმა სოლიდარობას უცხადებს ჩინელ ხალხს, რომელიც სამართლიანი საქმისათვის იბრძვის.

ვ. ულბრიხტმა გამოთქვა რწმენა, რომ სოციალისტური ქვეყნების მტკიცე კავშირი საბჭოთა კავშირის მეთაურობით შეაწყვეტინებს ამერიკელ იმპერიალისტებს თავიანთ პროვოკაციებს.

თეთრი სახლის განცხადება

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საკდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჰეგერტიმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა 8 სექტემბერს მოსკოვში შეერთებული შტატების საელჩოსაგან მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის ტექსტი. „მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი შეისწავლის წერილს უფრო ყურადღებით, — ნათქვამია განცხადებაში, — იგი გაგზავნის ისეთ პასუხს, რომელსაც მიიჩნევს შესაფერისად.

წერილი ეხება ტაივანის და ტაივანის სრუტის რაიონში შექმნილ მდგომარეობას. ბ-ნ ხრუშჩოვის წერილში ეს მდგომარეობა დახასიათებულია როგორც საშიში მდგომარეობა. შეერთებულმა შტატებმა უკვე აღიარეს, რომ არსებობს საფრთხე და იმედი აქვთ, რომ იგი შემცირდება შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის კომუნისტურ რეჟიმს შორის ელჩების დონეზე მოლაპარაკების განახლების შედეგად“.

განცხადებაში გამოთქმულია ცდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიცია თავისი ტერიტორიების — ტაივანის, ძინმინდაოსა და მაძუდაოს კუნძულების მიმართ წარმოდგენილი იქნეს როგორც „ტერიტორიული პრეტენზიები“.

ინდოეთის პრესა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ დ. ეიზენჰაუერისადმი

დელი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის ყველა ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებით აქვეყნებს ცნობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი. პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ შორეულ აღმოსავლეთში არ შეიძლება მტკიცე მშვიდობა იყოს, სანამ ამერიკის სამხედრო ფლოტს არ გაიწვევენ ტაივანის სრუტიდან.

პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს სერიოზულ ვითარებას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციულ მოქმედებასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. გაზეთები მოწინავე სტატიებში ხაზს უსვამენ იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის განცხადება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მზად არის განაახლოს ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება წარმოშობილი პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით, დიდმნიშვნელოვანი ინიციატივაა მსოფლიოს ამ რაიონში შექმნილი დაძაბულობის შენელების საქმეში.

„ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება, — აცხადებს გაზეთი „ტრიბუნი“, — პირველი რიგის ამოცანაა. ეს შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისა და სტაბილურობის ძირითადი პირობაა“.

დალესის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა დალესის პრეს-კონფერენცია, რომელზეც მას მისცეს ჩრავალი შეკითხვა, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის საზოგადოებრიობა დიდად შეშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციული პოლიტიკის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. დალესს მრავალგზის ჰკითხეს, თუ რატომ ახორციელებს ამერიკის მთავრობა პოლიტიკას, რომელიც ომის საფრთხეს შეიცავს, რატომ არ უგდებს ყურს ამერიკის ახოგადოებრივ აზრს, რომელიც ილაშქრებს ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, რომელსაც ზედიზედ დააყარეს კითხვები, ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის ახლანდელი ავანტიურა ტაივანის რაიონში. მაგრამ, დალესის პასუხებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ამერიკელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მზად არის ჩაბას ამერიკა თავის სამხედრო ავანტიურაში. თუმცა დალესს აშკარად არ განუცხადებია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს საომარი მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ძინმინდაოსა და მაძუდაოს კუნძულების გამო, მან დაიმოწმა თავიანი 4 სექტემბრის განცხადება და ხაგანმეორებით აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი „არ შეიყოყმანებდა“ გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ ცნობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლების 12 მილიან ზონას და მიიჩნევენ ყოველ იერიშს ამერიკის ხომალდებზე, რომლებიც ამ ზონაში შეიჭრებიან, როგორც „თავდასხმას“ ამ ხომალდებზე საერთაშორისო წყლებში. ამ განცხადებამ გამოიწვია მთელი რიგი შეკითხვები, რომლებშიც აშკარად გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის მთავრობის ასეთმა კურსმა შეიძლება ყოველ მომენტში გამოიწვიოს ომი.

დალესი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის ავანტიურას სახალხო ჩინეთის წინააღმდეგ მხარს არ უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების „მოკავშირეებიც კი“. მან განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა აუცილებელი არ არის ეძებონ მოკავშირეთა თანხმობა ყველა თავიანთ მოქმედებაზე. როცა დალესს ჰკითხეს, რატომ არის, რომ ამერიკის მთავრობა, რომელიც ჩვეულებრივ ლაპარაკობს თავის ბისწრაფებაზე საერთაშორისო სადავო საკითხები გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ამჯერად „არ ჩქარობს“ გადასცეს ტაივანის რაიონის მდგომარეობის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დალესმა განაცხადა, რომ ეს გამოწვეულია, ჯერ ერთი, იმით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ ცნობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იურისდიქციებს ჩინეთის სანაპირო კუნძულებისა და ტაივანის საკითხზე, და, მეორე, იმით, რომ თვითონ სახალხო ჩინეთმა მოითხოვა მოლაპარაკების მეთოდი. დალესმა ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს ვარშავაში გაუგზავნეს ნოტა, რომელშიც გამოთქვამენ მზადყოფნას განაახლონ მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ელჩების დონეზე „ყოველ დროს“.

დალესმა უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი და დაიმოწმა ჰეგერტის გუშინდელი განცხადება.

დალესმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ახლა „ნაადრევი იქნებოდა“ ლაპარაკი ამერიკის ჯარების სრულად გამოყვანის შესახებ ლიბანიდან.

„საბჭოთა ეკონომიკის დიადი გეგმები“

ვარშავა, 9 სექტემბერი. (საკდესი) ცნობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილების შესახებ მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა, ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია სახალხო პოლონეთის საზოგადოებრიობასა და პრესაში.

დღეს გაზეთი „ჟიცე ვარშავი“ ბეჭდავს სტატიას „საბჭოთა ეკონომიკის დიადი გეგმები“, რომელშიც ხაზს უსვამს მომავალი ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

აღნიშნავს რა, რომ ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირმა განახორციელა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, აგრეთვე მშენებლობის განვითარების დიდი ღონისძიებანი, გაზეთი წერს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა ახალი ნიშანსვეტი იქნება საბჭოთა ეკონომიკის ძლიერების კიდევ უფრო გადიდების საქმეში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 10 წლისთავი

ფხენიანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 10 წლისთავის გამო ფხენიანში გამართულ საზეიმო სხდომაზე კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა აღნიშნა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები რესპუბლიკის დაარსების 10 წლისთავს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებებიან. ფართო დემოკრატიული გარდაქმნების მეოხებით შეიქმნა სოციალურ-ეკონომიური პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს სოციალიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანები.

კიმ ირ სენმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ხუთწლიანი გეგმის დავალებები შეიძლება ვადაზე გაცილებით უფრო ადრე შესრულდეს და გამოთქვა რწმენა, რომ ეს დავალებანი შესრულდება კორეის განთავისუფლების მე-15 წლისთავისათვის.

მოხსენების შემდეგი განყოფილება მიეძღვნა სამხრეთ კორეის მდგომარეობას, რომელიც გადაქცეულია ამერიკის კოლონიად და სამხედრო პლაცდარმად.

პირველი რიგის ამოცანა, რომელიც უნდა განხორციელდეს სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, არის უარისთქმა ომის გაჩაღების პოლიტიკაზე, რასაც ახორციელებს ლი სინ მანის მარionეტული ხროვა. უწინარეს ყოვლისა სამხრეთ კორეისათვის უნდა უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის ელემენტარული დემოკრატიული უფლებანი.

კიმ ირ სენმა აღნიშნა, რომ სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების დასაჩქარებლად ფრიად საჭიროა შეიქმნას სამხრეთ კორეის მთელი პატრიოტული დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტი, რომელნიც იბრძვიან ამერიკელი იმპერიალისტებისა და ლი სინ მანის ხროვის წინააღმდეგ. შემდეგ კიმ ირ სენი შეეხო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობასა და საგარეო პოლიტიკას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი უდევს საფუძვლად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას. ჩვენმა პარტიამ, მთელმა კორეელმა ხალხმა, განაცხადა მან, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს იმპერიალისტებისა და რევიზიონისტების ხრიკებს, რომელნიც ცდილობდნენ ცილი დაეწამებინათ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის და ძირი გამოეთხარათ სოციალისტური ქვეყნების დარაზმულობისათვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

კიმ ირ სენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და კორეელი ხალხი გადაჭრით გმობენ ამერიკელი იმპერიალისტების პროვოკაციებს და სავსებით უჭერენ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ჯოუ ენ-ლაის განცხადებას.

დასასრულ კიმ ირ სენმა განაცხადა, რომ კორეელი ხალხის ბრძოლა სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და სოციალიზმისათვის აუცილებლად დამთავრდება საბოლოო გამარჯვებით.

ფხენიანში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა

ფხენიანი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ფხენიანში გაიხსნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევების გამოფენა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელები, რესპუბლიკის მთავრობა, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დაიხურა მე-2 საერთაშორისო გამოფენა ქაბულში

ქაბული, 9 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დაიხურა მე-2 საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა ქაბულში.

პრესის ერთსულოვანი აზრით, ყველაზე მეტი წარმატებით გამოფენაზე აარგებლობდა საბჭოთა პავილიონი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა მე-2 საერთაშორისო გამოფენაზე ქაბულში ავღანეთის წრეებს მიიჩნიეთ როგორც საბჭოთა ხალხის მეგობრული გრძნობების გამოვლინება ავღანელი ხალხისადმი.

დამთავრდა ჰამარშელდის მოლაპარაკება ერაყში

ბაღდადი, 8 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი დღეს ბაღდადიდან ამანს გაფრინდა.

ჰამარშელდი ბაღდადში ყოფნის დროს შეხვდა პრემიერ-მინისტრ კასემს, საგარეო საქმეთა მინისტრ ჯუმარდსა და ერაყის მთავრობის სხვა წევრებს და განიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ბაღდადი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბაღდადის რადიო გადმოგვცემს, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბადელ ჯაბარ ჯუმარდმა ცოტა ხნით ადრე, სანამ ჰამარშელდი ამანს გაემგზავრებოდა, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ჰამარშელდთან შეხვედრის დროს ერაყის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ნათლად განაცხადეს, რომ მათ ლიბანიდან და იორდანიიდან უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა მიიჩნიათ შუა აღმოსავლეთის ძირითად პრობლემად და იმ რეზოლუციის პრაქტიკული განხორციელების საფუძვლად, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ.

ჰამარშელდი იორდანიაში ჩავიდა

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ბაღდადიდან ამანში ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი.

როგორც იუწყებიან, ჰამარშელდი ამანში ერთ დღეს დარჩება და შემდეგ ბეირუთს გაფრინდება.

დღეს ჩავიდა პაკისტანის პრემიერ-მინისტრი

დელი, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დელში ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან ჯავაჰარლალ ნერუსთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა პაკისტანის პრემიერ-მინისტრი მალიქ ფიროზხან ნუნი. მოლაპარაკება, რაც ორ დღეს გასტანს, შეეხება უმთავრესად იმ სასაზღვრო ინციდენტების საკითხს, რომლებიც უკანასკნელ თვეებში მოხდა ინდოეთისა და პაკისტანის საზღვრებზე.

ამერიკის შეერთებული შტატები ბალისტიკური ყუმბარებით აიარაღებენ ღიდ ბრიტანეთს

ნიუ-იორკი, 9 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ შეერთებული შტატები დიდ ბრიტანეთს აწვდიან ბალისტიკურ მართულ ყუმბარებს „ტორს“, რომელთა მოქმედების რადიუსი დაახლოებით 2.500 კილომეტრია. გაზეთი აღნიშნავს, რომ განზრახულია დიდ ბრიტანეთში გაიგზავნოს ამ ტიპის 60 ყუმბარა.

ამერიკელი სტუდენტები საქართველოში

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად ამერიკის შეერთებული შტატების იელის უნივერსიტეტის 18 სტუდენტი. საბჭოთა კავშირში მოგზაურობასას ისინი ეწვივნენ მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, ოდესასა და სხვა ქალაქებს.

საქართველოში ამერიკელ სტუდენტებს აინტერესებდათ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება, მისი ისტორიული ძეგლები, უმაღლესი განათლების განვითარების საკითხები. ისინი იყვნენ მცხეთაში, სადაც დათვალიერეს წარსულის არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლი „სვეტიცხოველი“. თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში სტუმრები დაესწრნენ მეცადინეობას, ესაუბრნენ პედაგოგებს, მოსწავლეებს.

სტუმრებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სწავლისა და აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათ უჩვენეს სასწავლებლის აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები.

იელის უნივერსიტეტის სტუდენტები ხარკოვში გაემგზავრნენ. (საქდესი).

შ. ნ. ჩხარტიშვილი — პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დოცენტმა შ. ნ. ჩხარტიშვილმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე — „ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. ნ. ჩხარტიშვილისათვის პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

„კუშკინი საქართველოში“

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ი. კ. ენიკოლოპოვის საინტერესო წიგნი „პუშკინი საქართველოში“. წიგნი რვა თავისაგან შედგება, რომლებშიც მოთხრობილია პუშკინის აღმოსავლეთით დაინტერესებისა და საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობის შესახებ.

წიგნს დამატების სახით დართული აქვს არზრუმში პუშკინის მოგზაურობის ქრონოლოგიური კალენდარი, ნ. რაევსკის უცნობი ბარათი და ა. ს. პუშკინის მონაწილეობა მის შედგენაში, თანამედროვეთა მოგონებანი პუშკინის ყოფნაზე საქართველოში და სხვ.

წიგნის რედაქტორია ეთ. ზუბ-აშვილი, მხატვარი დ. ნოდია. ტირაჟი 5.000. ფასი 5 მან.

„ვიქტორია“ ჰყვავის

თვალწარმტაცია სოხუმის ბოტანიკური ბაღი. რა მცენარეა და ყვავილს არ ნახავთ აქ. განსაკუთრებით მომხიბვლელია ბაღი აუზში — სამხრეთ ამერიკის მკვიდრი ყვავილის „ვიქტორიას“ სამფლობელო.

„ვიქტორიას“ ფოთოლი უზარმაზარ თეფშს წაგავს, გარეთ მულია წყლის ზედაპირზე და ნავივით ტივტივებს. მისი დიამეტრი 180 სანტიმეტრს აღწევს და შეუძლია 50 კილოგრამამდე ტვირთს გაუძლოს.

„ვიქტორიამ“ საკმაოდ დიდი კვერცხისებრი ფორმის ყვავილი იცის, ზშირად მისი დიამეტრი 30 სანტიმეტრია და სასიამოვნო სურნელება აქვს.

სურათზე ხედავთ ორ ბავშვს — 5 წლის ზვიადს და 3 წლის სლავას. ისინი არხეინად დგანან „ვიქტორიას“ ფოთოლზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

სპორტის ამგვეგი

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 9 სექტემბერი. დედაქალაქის ფეხბურთელთა უძლიერესი კოლექტივების — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და „დინამოს“ გუნდების მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 2 : 1.

ლენინგრადი. 9 სექტემბერი. XX ჩემპიონატის ლიდერი მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი საკავშირო პირველობაზე ლენინგრადში შეხვდა ადგილობრივ „ადმირალტეიეცს“ და მოიგო მატჩი ანგარიშით 4 : 0.

კიევი. 9 სექტემბერი. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ კიევისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს კიევის დინამოელებმა 4 : 0.

ჩემპიონები თავისუფალ ჰიდაობაში

თბილისში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

9 სექტემბერს მოეწყო ფინალური შეხვედრები. წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: ხ. მონასელიძე, ა. მაისურაძე, ვ. არსენიანი, გ. ჯინჭარაძე, ზ. მეშველიანი, ჯ. დავლიანიძე, ნ. გოგიბედაშვილი და ო. კანდელაკი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი თბილისელებმა დაიკავეს.

გათუმის ნახევარფინალი

ბათუმში მიმდინარეობს ქალთა საკავშირო საკადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა.

9 სექტემბერს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. 3 ტურის შემდეგ წინ არიან გაფრინდაშვილი, ჯოციკი, ჩაიკოვსკაია, ვიტკოვსკაია და კაუშლაიტე, რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ.

თბილისელ კალათბურთელთა მორიგი გამარჯვება

მესამე მატჩი თბილისის ბურევესტნიკელებმა მოსკოვში გამართეს თავიანთ ლენინგრადელ თანაკლუბელებთან და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 49 : 44.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა“, რომელიც ჩემპიონატის წინა ეტაპებში სუსტად გამოდიოდა, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა.

პარასკევს, 12 სექტემბერს დღის 11 საათზე თბილისის მასწავლებლის სახლის დარბაზში (ფურცელაძის, № 3) შედგება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს პირველი რესპუბლიკური კონფერენცია.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური ორგბიურო.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატორის 1 ვაკანტურ ადგილზე.

კლინიკურ ორდინატურაში (სწავლების ვადა 2 წელი) მიიღება უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომელსაც აქვს მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიული პირი, ავტობიოგრაფია, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, დაბადების მოწმობის ნოტარიული პირი, ჯანმრთელობის განყოფილების და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვა კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, ელექტრონის შესახვევი № 4.

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საბაფხულო), **ოფიცერთა სახლი** — მორიგი რეისი, **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — მემანქანე, **ფილარმონიის ბაღი** — ბაში-აჩუკი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** — ქალიშვილი გიტარით, **ისანი** (საზაფხულო) — ივანე მრისხანე (II სერია).

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
ბრძოლის ქ. № 2
(ტელეფონის № № 3-21-62, 3-26-17)
13 სექტემბერს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის
„მეტალურგი“ (სტალინგრადი) — **სკვო** (თბილისი)
დასაწყისი 5 ს. 30 წ.

შვილები ზინა, ვერა, ოლია, მარო, ლუბა, სიძეები გ. ბაქრაძე, ვ. მელქაძე, ვ. დანელია ოჯახებით იუწყებიან
ჯოჯო ქესქინჯის ასულ შენგელიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-IX, 8 ს. გამოსვენება 13-IX, 4 ს. ბლეხანოვის პროსპ. № 59 ა.

ლეილა, კლარა თავართქილაძეები, რეგბენ ზალკალიანი, გივი კეკელაძე შვილებით იუწყებიან
ანდრო დავითის-ძე თავართქილაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX, ქ. მახარაძეში, გამოსვენება ცხაკაიას ქ. № 9.

შვილები ბესარიონ, ვერა, ალექსანდრა, კონსტანტინე, ვლადიმერ, ანტონ, ბადრი კიზირიები ოჯახებით იუწყებიან
ბარბარე სტეფანეს ასულ კიზირიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-IX, 8 ს. გამოსვენება 13-IX, 5 ს. ლენინის ქ. № 63.

მ. ჩაჩავა, ა. ჯორბენაძე, ე. გობრონიძე, ი. მენთეშაშვილი, ვ. კვერენჩხილაძე, გ. კვიტაშვილი, მ. კვირკელია, ლ. ქვარიანი, დ. ქანთარია, ი. ჩხაიძე იუწყებიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ
ილია პავლეს-ძე დავითაიას
გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან სასპორტო სკოლის უფროსი მწვრთნელის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის
ვლადიმერ მარღანიას
გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: **რედაქტორის** — 3-62-26, **რედაქტორის მოადგილეების** — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, **პასუხისმგებელი მდივნის** — 3-72-80, **სამდივნოსი** — 3-06-88, **განყოფილებებისა:** **პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 3-81-84, **მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის** — 3-16-90, **სოფლის მეურნეობის** — 3-20-43, **კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების** — 3-80-84, **საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა:** ქსელისა და **პრესის მიმოხილვის** — 3-57-61, **უცხოეთის ინფორმაციის** — 3-80-83, **წერილებისა და პარტბიუროსი** — 3-73-24, **ხაილუსტრაციო** — 3-08-67, **განცხადებების მიღების** — 3-64-42, **გამომშვების** — 3-81-65.

УЦ 03381 საქართველოს კპ ც. კ.-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.